

პროგრამის სახელწოდება

სპლიტ სისტემის ჰაერის კონდიციონერის მონტაჟი



პროგრამის სახე: მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: არ აქვს

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის

მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს სპლიტ სისტემის კონდიციონერის მონტაჟს და მომსახურებას, ასევე სპლიტ სისტემის კონდიციონერის სისტემის სამუშაოდ მომზადებას შრომის უსაფრთხოების უახლესი რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის მოკლე აღწერა

სპლიტ სისტემის ჰაერის კონდიციონერის მონტაჟის პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები სპლიტ სისტემის ჰაერის კონდიციონერის მონტაჟის და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის

კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლების განხორციელება შესაძლებელია ორგვარი მიდგომით:

- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში.
- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

სწავლება განხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სწავლის შედეგები (აღინიშნება ცოდნით და უნარით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- კონდიციონერების, ვენტილაციის და გაცივების შესახებ არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს აღწერა
- სექტორის გარემოზე ზეგავლენის აღწერა
- კონდიციონერების სისტემებთან დაკავშირებული რისკების აღწერა
- კონდიციონერების სისტემის პროექტის დეტალების აღწერა
- ჰაერის კონდიციონერების სისტემების სპეციფიკის აღწერა
- აუცილებელი მასალების, იარაღების, კომპონენტების და მოწყობილობების მომზადება
- სპლიტ სისტემის მონტაჟთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა
- სპლიტ სისტემის კონდიციონერების საშუალებების მონტაჟი და მომსახურება
- სპლიტ სისტემის კონდიციონერების სისტემის სამუშაოდ მომზადება

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

- შპს „ალიანსი“
- შპს „ანაგი“

დასაქმების სფერო/სფეროები:

- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (ფართო სფერო)